ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 18 ნოემბერი № 1645

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

კვირას, 18 ნოემ **ქართული თეატრი** ბრს 1901 წლს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✡ დაკლებულის ფასებით ✡

I

მტარვალი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ი. ლაზრიაშვილისა.

II

ქარიშხალი

მონოლოგი-ხუმრობა 1 მოქ. ფრანგულიდან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანიშვილი & სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია**

მზადდება: ტასო აბაშიძის საბენეფისოდ ახალი კომედია „სანატრელი მეუღლე“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებ*ნ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8. საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ **ტელეფონი** № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

აფთიაქი

თიანეთისა სახლიანათ იძლევა იჯარით. პირობები: თიანეთი, პროვიზორს კ. ა. ჯაჭვაძეს. პასუხისთვის მარკა. (2—195—1)

ქ. ბათუმში

ექიმი სიმონ იაკობის ძე ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი სნეულებანი) დილის 9—12 საათამდე და საღამოს 3—5 საათამდე. ღარიბებს უფასოდ. სმეკალოვის ქუჩა, ს. ვარძელოვის სახლი № 20. (10—5)

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-15 ნომერი.

როგორი სწავლა-განათლება არის საჭირო ჩვენთვის?

(პასუხად ბ.ბ. სილოვან ხუნდაძეს დ დ ა. ნაზაროვს)

ჩვენდა საბედნიეროდ, ისეთ დროში ვართ და იმდენად განვვითარდით, რომ სწავლა-განათლების საჭიროებას არავინ უარს არ ჰყოფს: ყველას ესმის, რომ ის ერთად-ერთი აუცილებელი იარაღია ეხლანდელ დროში ცხოვრების მრავალ ნაირ მოთხოვნილების გამოსარკვევად, დასაკმაყოფილებლად; მაგრამ, როგორც ყოველივე მოვლენას ცხოვრებაში, სწავლა განათლების საქმესაც ბევრი შეგნებული წევრი საზოგადოებისა ცალმხრივად უყურებს: ყოველივე სწავლა ცხოვრებისათვის გამოსადეგი უნდა იყოს, მაშასადამე ჩვენშიაც სწავლა ჩვენი ქვეყნის უმთავრესი საჭიროებისათვის გამოსადეგი და სასარგებლო უნდა იყოსო და რადგანაც ჩვენი ქვეყანა მიწის მომუშავე—მწარმოებელი ხალხის უმრავლესობას წარმოადგენს, ამიტომ ჩვენთვის უპირატესად, სხვა სასწავლებლებთან შედარებით, სამეურნეო სკოლებია საჭიროო, გაიძახიან ზოგიერთი ჩვენი ხალხის კეთილის მდომნი, რომელთა რიცხვში საპატიო ადგილი უჭირავთ პედაგოგს. სილ. ხუნდაძეს და ექიმს დ. ა. ნაზაროვს. მაგრამ ცალ-მხრივი შეხედულობა საგანზედ, თუ სხვა შემთხვევებში სანახევროდ მაინც სარგებლობის მომტანია, სწავლა-განათლების საქმეში უეჭველად დიდათ საზარალო და მავნებელია. ჯერ ერთი, მოზარდი თაობის აღზრდის დროს პირველ ხანებში არავითარი ტენდენციით არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ: ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ ბავშვებს შევაძენიოთ საერთო განმავითარებელი ცნობები, მიუხედავად იმისა მეურნეთ გვჭირია ის, თუ მჭედლად. არც ერთი მეურნე, არც ერთი მჭედელი არ ივარგებს თავიანთ ხელობის გასაუმჯობესებლად და საქვეყნო საჭიროებისათვის გამოსაყენებლად, თუ მათ საერო განვითარება არ აქვთ; რა იმედს, რა შეღავათს უნდა მოელოდეს ჩვენი ქვეყანა ისეთ მეურნისაგან, რომელსაც ბუნების მეტყველების მეცნიერების წარმოდგენაც არა აქვს, ან ბუნდოვანად შესწავლილი აქვს.

თუ გვინდა, რომ რომელიმე ახალგაზდა კაცი თავის სწავლა-ცოდნით მთელი ქვეყნის მოთხოვნილებას ემსახუროს, ამისათვის მიუცილებელი საჭიროა ზედ-მიწევნით მეცნიერული განათლება-განვითარება. მარტო სამეცნიერო საგნების შესწავლა, „კურსის გავლა“ საკმარისი არ არის. ამ საქმისათვის მიუცილებელი საჭიროა მეცნიერების იმდენად შეთვისება-შეგნება, რომ მისი საშუალებით შეეძლოს კაცს თავისუფალი მსჯელობა, მოქმედება-გამოგონება. ყველა დამეთანხმება, რომ არა თუ დაბალი და საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, რუსეთის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლებიც ვერ იძლევიან ასეთ მეცნიერებაში გავარჯიშებულს, ნასწავლ სტუდენტებს. ჩვენ კი გავიძახით: ოცი, ან ორმოცი ათასი მანეთით სამეურნეო სასწავლებელი გავხსნათ და იმ სკოლიდან გამოსული მოწაფეები იხსნიან განსაცდელიდან ჩვენ ქვეყანასო, შესცვლიან, გააუმჯობესებენ მთელი ჩვენი ქვეყნის მეურნეობასო. ჩვენის აზრით, ეს მტკნარი ოცნებაა. რაც უნდა ვეცადოთ, ჩვენ ოცი-ორმოცი ათას. მანათად კი არა, ასი ათას მანეთადაც წელიწადში ვერ დავაარსებთ ისეთ სასწავლებელს, როგორიც არის „ნიკიტსკის“ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი ყირიმში; ამ სასწავლებელში ნასწავლი, კურს დამთავრებული ყმაწვილები ჩვენ ბევრი გვყავს ამ ჟამად: თუ მეტი არა 60—70 მაინც იქნება. ეხლა ვიკითხოთ, რა სარგებლობა-უმჯობესობა შემოიტანეს ამ აგრონომებმა ჩვენში? არავითარი. ბევრი მათგანი მწერლებად და დაბალ მოხელეებათ მსახურობენ სხვა და სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებაში. ჩვენის აზრით, ერთად-ერთი მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, რომ რუსეთში არსებული საშუალო და უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები ვერ იძლევიან იმდენ ცოდნას, იმდენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომ მათი შემწეობით ჩვენებურ აგრონომს შეეძლოს თავისუფლად, გაბედულად, ავტორიტეტულად მოქმედება-მუშაობა. თუ მთელ რუსეთში არ მოიძებნება ისეთი სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი საჭიროება-მოთხოვნილების ხელის-გამწყობი ნასწავლი აგრონომობის შექმნა, ჩვენ, თუ გინდათ, საერთოდ ორ გუბერნიას როგორ შეუძლია რამე არა ჩვეულებრივი, ჯერ უცნობი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი დააარსოს?!.

მაშ რა ვქნათ?! ჩემის აზრით, დავეთხოვოთ ოცნებას: თავი დავანებოთ საკუთარ სამეურნეო სასწავლებლებ'ს, აღვზარდოთ ჩვენი ბავშვები ისე, რომ შევაძენიოთ მათ საერთო განმავითარებელი ცოდნა, შევასწავლოთ, რამდენადაც კი შეიძლება რუსეთში, მეცნიერება, უპირატესად ბუნების მეტყველება; შემდეგ განვითარებული, მეცნიერების უმთავრესს საგნებში დახელოვნებული ყმაწვილები გავგზავნოთ საზოგადოების ხარჯით საზღვარ გარეთ იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენი ქვეყნისათვის უფრო შესაფერი და გამოსადეგი ცოდნა შეუძლია შეიძინოს ჩვენმა მამულიშვილმა. ოცი ათასი მანეთიდან 10 ათასი მანეთი გადავდვათ და უნივერსიტეტ გათავებულნი ვგზავნოთ საზღვარ გარეთ სამეურნეო ან სხვა ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სპეციალური საგნების პრაქტიკულად ზედ-მიწევნით შესასწავლად. დანარჩენი ათი ათასი მანეთი მოვახმაროთ საშუალო სასწავლებელში უკონკურსოდ ბავშვების მისაღებ საშუალებას: დავაარსოთ მოსამზადებელი და პარალელური კლასები, ან ვითხოვოთ ჩვენი სააზნაურო სკოლებისთვის ისეთი უფლება, რომ ყოველ წელიწადს ოლქის სამზრუნველოდან დანიშნული მასწავლებლის ზედამხედველობით მოხდეს ყველა სკოლებში ეგზამენები და ვინც შემდეგ კლასში გადავა, იმას ნება ჰქონდეს იმნაირსავე კლასში გიმნაზიაში გადვიდეს, სადაც ვაკანსია იქნება. ეს წესი ადვილი შესასრულებელია ამ ჟამად, რადგანაც საერო განათლების სამინისტრო ასეთ უფლებას აძლევს ეხლა კერძო სასწავლებლებს...

ნიკო თავდგირიძე.

მკითხველთა წერილები

იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული

VI

ვინაიდგან თქვენს პატივცემულს გაზეთში ხშირად ვკითხულობთ მკითხველების ბარათებს იმ კითხვის შესახებ: თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული, მეც, ერთმა უსწავლელმა კაცმა, განვიზრახე მოგახსენოთ შემდეგი: მამა ჩემი ერთი სოფლის აზნაურიშვილი იყო; ფულით ღარიბი და მიწა-მამულით—მდიდარი, მოგეხსენებათ იმ დროში მიწას მოსავალს გასავალი არ ჰქონდა: კოკა ღვინო 30 კაპ. იყო. შუაგულ სოფელში ათას დესიატინამდე სახნავ-სათესი და ტყე ჰქონდა მამა ჩემს; ვყავდით ორი ვაჟი და ოთხი ქალი. პატარაები რომ ვიყავით, მამას ყანაში სამუშაოზედ დავყობოდით და მუშაობაც ძალიან გვიყვარდა, ბიჭებთან (შინა ყმებთან) ვთოხნიდით. შემდეგ, რომ მოვიზარდეთ, მამაჩემმა ერთობ გვიან სკოლაში მიგვცა; აქ ვერც ვერაფერი გვასწავლეს და ტყუილად ყოფნასაც მივეჩვიეთ, ასე რომ მე და ჩემი ძმა გავხდით უსაქმო კაცები.

მამა მოხუცდა და სულ იმაზედ ჰფიქრობდა, რა უყო ამდენი მიწა რომ უპატრონოდ მრჩებაო. რომელიმე მეზობელთაგანი გაუმტყუნებდა მას ამ სიტყვებს, მიუთითებდა ჩვენზე და ეტყოდა: შე დალოცვილო, ამისთანა შვილები გყავს, ღმერთს რას სცოდებთო. მაგრამ იგი ამითი არ ნუგეშობდა და ამბობდა: მამულის მოვლა და სარგებლობის მიღება შეუძლია მუყაით მუშას, მშრომელს. ჩემი შვილები უსწავლელნიც არიან და უსაქმურნიც და, რასაკვირველია, ჩემს მერე ჩემი მამული მშრომლების ხელში გადავაო. ამას დასძენდა: უფრო ჭკუა იქნება, გლეხებს უანდერძო, მიტომ, რომ გლეხები თავისს ხელით მუშაობენ და მხოლოდ მათ შეუძლიათ შეირჩინონ მიწაო, აზნაურიშვილებს კი ბანკში შეაქვთო.—მამა გარდაიცვალა; რასაკვირველია, ის, რაზედაც მამა სიცოცხლეში დრტვინავდა, ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში სისრულეში მოვიყვანეთ მე და ჩემმა ძმამ: 1000 დესიატინა მიწა 100 დესიატინაზედ დავიყვანეთ: ზოგი გავყიდეთ, ზოგი გავაჩუქეთ და ზოგიც დავაგირავეთ. სისულელე ჩაგიდენია შენ და შენ ძმას, რომ ამდენი მამული დაგიკარგავთო, გვეტყის მკითხველი. მაგრამ ეგ სულ სამართლიანი არ იქნება მიტომ, რომ, სამწუხაროდ, მთელს ჩვენს მაზრაში შრომის მაგალითს

ბიბლიოთეკა

არ ვხედავდით. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ ვხედავდით ცხენების ჭენებას, მთვრალობას და სიმთვრალეში ჩხუბს. მეურნეობის ხსენება სად იყო! მიწაზედ სიმინდისა და ღომის მეტი თუ რამე დაითესებოდა, ვის ეგონა. ამ გვარ ბნელ ცხოვრებაში ჩავარდნილებმა, განვიზრახეთ მამულის ფულად ქცევა და ფულებისთვის ხომ ყველას ჯიბე გახვრეტილი გვაქვს. ასე იყო თუ ისე, მე და ჩემს ძმას ეგ მამის დატოვებული მამული გამოგვეცალა ხელიდან. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მაზრაში რომ იმ დროში თუნდ ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა ყოფილიყო, ავცდებოდით ამ მამულის დაკარგვას როგორც მე და ჩემი ძმა, აგრეთვე სხვაც ბევრი.

მე და ჩემი ძმა მით მაინც ვნუგეშობთ, რომ ჩვენი მამული ჩვენსავე მეზობლებს ერგო, როგორც მამა-ჩემი წინასწარმეტყველებდა, და სხვებმა კა მართლაც დაჰკარგეს საზოგადოებისთვის, ე. ი. გადასცეს მამული უცხო ტომის პირებს. განვიმეორებ, რომ მე ერთი სოფლის უსწავლელი კაცი ვარ; ამ ბოლო დროს ლუკმა პურისთვის ხალხის ბრძოლამ მაში დამარწმუნა, რომ, რაც უნდა მამულის პატრონი ბრძანდებოდეთ, იმის საშვილისშვილოდ სასარგებლოთ მოწყობის იმედი მხოლოდ მაშინ უნდა გქონდეთ, როცა თქვენ სპეციალისტი ხართ, მუშაობთ მამულში და უვლით მას. . ამიტომ საჭიროა ჩვენთვის საშუალება მუშაობის შესწავლისა, ე. ი. სამეურნეო სკოლების გავრცელება, სადაც ჩვენი შვილები მუშაობას შეისწავლიან და თავიანთ მიწებზედ იმუშავებენ. ჩემის ფიქრით, ეს იქნება საიმედო საშუალება, რომ ჩვენი უძრავი მამული უცხო ტომის ხალხზე არ გადავიდეს და ჩვენსავე შვილებს შერჩეს.

გვიან გამოფხიზლებული აზნაური

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

16 ნოემბერი

პარიზი. პალატამ უარჰყო ლაზის წინადადება, რომლის ძალითაც მადლობა უნდა გამოცხადებოდა პალატის მხრივ ჩინეთის საექსპედიციო კორპუსს, და მიიღო 509 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 26-ისა ვალდეკ-რუსსოს მიერ მოწონებული წინადადება, რომ პალატა უერთდება მთავრობის მადლობას ხსენებულ კორპუსისადმი. პალატამ არ მიიღო ბერტოს წინადადება 314 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 163-ისა. ბერტოს სურვილი იყო პალატას გაეკიცხა მოქმედება ეპისკოპოსებისა და მისიონერებისა, რომელნიც ცარცვავდნენ ჩინელებს.

პარიზი. პალატა. ლაზი სთხოვს პალატას მადლობა გამოუცხადოს საექსპედიციო კორპუსს. ორატორის სიტყვით, ამ გვარი დადგენილება იქნება სამართლიანი ჯილდო იმ შეურაცხყოფის ნაცვლად, რომელიც ჯარს მიაყენეს, და გამოიყვანს ანდრეს გარინდებისაგან (ხმაურობა და პროტესტი). ვალდეკ-რუსსომ უპასუხა, რომ მთავრობამ უკვე მოიხადა ვალი და მადლობა გამოუცხადა საექსპედიციო კორპუსს (ტაშის ცემა და ხმაურობა). ვალდეკ-რუსსო უმატებს, რომ პარლამენტის საქმე არ არის მსჯელობა იქონიოს ჯარზე. ბერტო ჰკიცხავს მისსიონერებს და აცხადებს იმედს, რომ პალატაც გაჰკიცხავს მათს ქცევას. ემონს შემოაქვს შემდეგი წინადადება: „პალატა უერთდება იმ პატივისცემას, რომელიც გადაუხადა მთავრობამ საექსპედიციო კორპუსს“. ვალდეკ-რუსსო დასთანხმდა ამ წინადადებას და პალატამაც მიიღო იგი 509 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 26-სა. ბერტო წინადადებას იძლევა, რომ პალატამ გაჰკიცხოს ეპისკოპოსები და მისიონერები, რომელნიც ქურდობდნენ და ცარცვავდნენ ხალხს (ხმაურობა მარჯვნივ). ბერტოს წინადადება არ მიიღეს 314 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 163-ისა. სხდომა გათავდა.

ბუხარესტი. პალატა გახსნა დღეს მეფემ, რომელსაც თან ახლდა ტახტის მემკვიდრეც. სეფე-სიტყვაში მეფემ აღნიშნა ფინანსიურ კითხვების დიდ-მნიშვნელოვანება და სთქვა, რომ დაზოგვისა და მომჭირნეობის წყალობით ბიუჯეტი და კრედიტი სახელმწიფოსი მტკიცე ნიადაგზე არის. ეხლა მხოლოდ ისღაა საჭირო, რომ რაც არის, არ შეიცვალოს. სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ რუმინია მშვიდობიან პოლიტიკას მისდევს და ყველა სახელმწიფოებთან მას მეგობრული განწყობილება აქვს. სავაჭრო ხელ-შეკრულობა ოსმალეთთან წარედგინება პარლამენტს დაუყოვნებლივ და კონსტანცის ნავთ-სადგურის კეთებას განაგრძობენ. სიტყვის ბოლოს მეფემ შეაქო ჯარი, რომელმაც აღლუმის დროს აჩვენა ქვეყანას, რომ იგი წინ მიდის.

დანციგი. რუსის ოფიცრებმა დაათვალიერეს მარიენბურგის სასახლე და 7 საათზე წავიდნენ აქედან. ლეიბ-ჰუსარის ბრიგადის ოფიცრებმა გააცილეს ისინი სადგურამდე. რუსის ოფიცრები გაჩერდებიან ბრომბერგში, სადაც ადგილობრივმა ოფიცრებმა მიიწვიეს.

დრეზდენი. დღეს ჩამოვიდა ერც-ჰერცოგის ლორენცო-ფერდინანდის მეუღლე.

ლონდონი. როგორც მთავარ-სარდალი იტყობინება კაპშტადტიდან, მას მიუღია ფუშესაგან წერილი, რომლითაც იგი იტყობინება, რომ სამ ნოემბერს მან ბრძანა ორის ინგლისელ ჯარის-კაცის დახვრეტა.

ბრიუსელი. მდგომარეობა დედოფლისა, რომელიც ეს ერთი ხანია ავად არის, საშიშია.

კონსტანტინეპოლი. გუშინ აქ იყო ერთი შემთხვევა შავი ჭირით ავად გახდომისა. ათინიდან მოსულ ცნობებით, საბერძნეთის მთავრობას ჰსურს მშვიდობიანობა დაიცვას კრეტაზე. ამ მშვიდობიანობის დარღვევა ცუდ გავლენას იქონიებს ოსმალეთისა და საბერძნეთის დამოუკიდებულებაზე და ეს კი სრულებით სასურველი არის საბერძნეთის მთავრობისათვის, რომელიც წინანდებურად დიდად აფასებს ოსმალეთთან კარგ განწყობილებას.

მოსკოვი. ბუნების მეტყველების ანტროპოლოგიურმა განყოფილებამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს პიროგოვის კრებაში.

მოსკოვი. 15 ნოემბერს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ხირურგ მოდლინსკისა, რომელმაც ავადმყოფის დაუთანხმებლად ოპერაცია მოახდინა. ავადმყოფი მოკვდა. ექსპერტებმა სთქვეს, რომ ოპერაცია აუცილებელი იყოო. სასამართლომ დაინახა, რომ ავადმყოფის თანხმობა უთუოდ საჭირო იყო და გადაუწყვიტა ბრალდებულს შვიდის დღით დაპატიმრება.

ხარკოვი. 15 ნოემბერს სამთო მრეწველების კრებამ მოისმინა ფინანსთა მინისტრის დეპეშის პასუხის პროექტი. ამოარჩიევენ საგანგებო დეპუტაციას, რომელიც წარუდგენს მინისტრს იმის ახსნას, თუ რატომ შემოდის უცხოეთიდან ამდენი ნახშირი, ლითონი და მანქანები მიუხედავათ დიდის ბაჟისა.

ჰავრი. 15 ნოემბერს ზღვაში ჩაუშვეს ნაღმიანი გემი „კეფალი“, რომელიც რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის ააშენეს. გემის სიგრძე 56 მეტრია.

ტულონი. აქ მოვიდა რუსეთის ჯავშნიანი გემი „პერესვეტი“.

კობურგი. ქვრივი ჰერცოგინია მარიამ საქსენ-კობურგ-გოტელი თავის ქალით დიდ ჰერცოგინა გესენის და პრინცესა ბეატრისას თანხლებით ნიცაში გაემგზავრა.

კონსტანტინოპოლი. მის სტოუნი და მისი მეგობარი ზილკა, რომელნიც დაიჭირეს ყაჩაღებმა, გადაიცვალნენ. სტოუნი დიდ სასოწარკვეთილებაში იყო. ზილკა მოკვდა მშობიარობის დროს. სალონიკის მთავრობამ ურჩია ადგილობრივ ამერიკელების კონსულს, საქმე გამოარკვიეთო.

დეტრუდა (შეერთებული შტატები). სადგურ სენეკას მახლობლად ერთი მატარებელი დეეჯახა მეორეს. ერთი მატარებელი სრულიად დაიმსხვრა და დაიწვა. 80 კაცი მოკვდა და 150 დაიჭრა. ამათში 25 ძრიელ მძიმედ.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ბერის სურს დაეკითხოს პალატას, რა მიზეზია, რომ ჰააგის კონფერენციამ არ მიიღო ბურების თხოვნა დახმარების შესახებ. ამ კითხვის გარჩევა გადაიდო. ბიუჯეტის კომისიაში ლაპარაკობენ სესხის შესახებ. ამ კონგრეგაციებს, რომელნიც არ არიან მთავრობისგან დამტკიცებულნი, არაფერს არ უზღავენ. გიუბარი ამბობს, რომ იმათ დიდი ხანია, რაც თავიანთი თავი თითონვე დააჯილდოვეს (ხმაურობა). ბერტელოს აზრით, კონგრეგაციებს უნდა უზღათო. კალიოც ამ აზრისაა. უმრავლესობამ 461 კაცმა წინააღმდეგ 84 ხმისა მიიღო ეს წინადადება (ტაშის ცემა).

პარიზი. პალატა. სხვა-და-სხვა მუხლი მე-3 „წინადადებისა“ მიიღეს, მთელი კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა 235 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 213.

ქრისტიანია. გუშინ დაიწყო ნობელის კომიტეტის კრებები. თავმჯდომარეთ ამორჩეულია სტატს-სეკრეტარი ლეველანდი. უმაღლესის ხარისხის საჩუქარი მიეცემა 27 ნოემბერს.

ვენა. ავსტრიის რეიხსრატის პანგერმანისტთა მოთავემ ვოლფმა უარი განაცხადა დეპუტატობაზე.

ბუხარესტი. „რუმინიის სააგენტო“ ოფიციალურის წყაროებიდან იუწყება, რომ უცხო გაზეთებისაგან გავრცელებული ცნობები, ვითომ შეცვლას აპირებდნენ რუმინიის კონსტიტუციის მე-88 მუხლისას, რომელიც შეეხება რეგენტობას და აგრეთვე ხმები მემკვიდრის პრინც ფერდინანდის ავადმყოფობის და ამის შედეგის შესახებ, სრულიად უსაფუძვლოა.

ნოვოჩერკასკი. ღამე თოვლი მოვიდა. სამარხილე გზა ჯერ არ არის.

ჩერნიგოვი. თოვლი მოვიდა. სითბო 2 გრადუსია.

ხარკოვი. 16 ნოემბერს სამთა-მადნო მრეწველთა კრებას მოხსენდა მინისტრთან დეპეშით გასაგზავნი პასუხი იმის კითხვაზე, თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს საზღვარ-გარეთიდან ქვა-ნახშირისა და ლითონის მოტანა. კრებამ გადასწყვიტა, რომ საჭიროა საკუთარი გაზეთის გამოცემა, რათა პასუხი გასცეს გაზეთების ყველა უმართლო და ტყუილ მითქმა-მოთქმას. ამ საკითხის გამორკვევა და შემუშავება მიენდო კრების საბჭოს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი. «ნოიე ფრ. პრ.»-ეს სწერენ ადანიდან, რომ იქ დიდი უწესობა ჰსუფევსო. სულტანის გუბერნატორი ქიომ-ფაშა იძულებული იყო სამსახურიდან გადამდგარიყო, რადგანაც მეტის-მეტად გაუჭირდა საქმე. ქიომ-ფაშა ნიადაგ მაშველ ჯარს თხოულობდა, მაგრამ მთავრობა ყურს არ უგდებდა მის თხოვნას და ამიტომ გუბერნატორმა გამოაცხადა, აღარ შემიძლიან ადანიის მოვლაო და სამსახურს თავი დაანება. ბეირუთიდან მეტად საშიში ამბები მოდის. იქაც, ეტყობა, ქრისტიანები და მაჰმადიანები ერთმანეთსა ჰხოცვენ.

ჰოლანდია. ჰოლანდიელი მუშები მაინც ხელს არ იღებენ თავიანთ განზრახვაზე. უნდათ, რომ ინგლისის სავაჭრო გემები არც ერთ ნავთ-სადგურში აღარ დატვირთონ. მაგრამ სხვა ქვეყნის მუშებს მაინც და მაინც ჭკუაში არ მოსდით ჰოლანდიელების განზრახვა. გერმანელ მუშების უმთავრეს კომიტეტს არც კი უღაპარაკებია ჰოლანდიელი მუშების დელეგატებს და მათი პროექტი არც კი განუხილავს. წინად მუშებს განზრახვა ჰქონდათ ყველა მუშების კომიტეტის წარმომადგენლები კონფერენციაზე შეეკრიბათ, მერე რამდენიმე კვირას აგიტაცია გაემართათ და შემდეგ საერთა-შორისო კონგრესი შეეკრიბათ. მაგრამ ეხლა, რაკი გერმანელი მუშები ასე გულ-გრილად დაუხვდნენ ჰოლანდიელებს, საერთა-შორისო კონგრესი დეკემბერში თუ-და შეიკრიბება. ჯერ-ჯერობით კი შეიძლება ვსთქვათ, რომ ჰოლანდიელების განზრახვამ უნაყოფოთ ჩაიარა, რადგანაც მუშების მეთაურები მომეტებულ ნაწილად წინააღმდეგნი არიან ამ განზრახვისა. სულ ერთია, არა გამოვა-რა, მით უმეტეს, რომ ბევრგან უიმისოდაც დიდი უსაქმობა და გაჭირვებაა.

სამხრეთ-აფრიკა. «ლოკალ ანცაიგერ»-ის თანამშრომელს ტრანსვაალის წარმომადგენელი დოქტორი ლეიდსი უნახავს. ლეიდსს უთქვა:

«სამხრეთ-აფრიკის ომი, შეიძლება, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდესო. მეომარ ბურებს ყველაფერი დაეკარგათ და ამიტომ აღარაფრისა არ ეშინიანთ. იარაღს არას დროს არ დაჰყრიან. რამდენიც ინგლისელები სასტიკად და უდიერად იქცევიან, ბურებიც იმდენი მაგრდებიან და უფრო მედგრად იბრძვიან თავიანთ მტრების წინააღმდეგ. შემდეგ ლეიდსმა შენიშნა, ზავის ჩამოგდება ინგლისელების ხელშია, მაგრამ ბურები არას დროს არ დასთანხმდებიან ზავსა, თუ სრული დამოუკიდებლობა არ მისცეს».

გაზეთის თანამშრომელს უთქვამს ლეიდსისათვის სამხრეთ-აფრიკის ომმა დიდი ეკონომიური კრიზისი გამოიწვია ევროპაშიო. ლეიდსს უპასუხნია:

«ჩვენ რა საქმე გვაქვს ევროპასთან? განა ევროპამ გვიშველა რამე? ბურებს იმედიც არა აქვთ, რომ ევროპა ამ საქმეში გაერიოს. ბურებს ვერავინ დაიყოლიებს, რომ ინგლისს მორჩილება გამოუცხადონ და იარაღი დაჰყარონ. ზავს მარტო მაშინ დასთანხმდებიან, თუ იმათ საქმეს სამედიატორო სასამართლოს გადასცემენ განსახილველად და ან დამოუკიდებლობას მისცემენ».

ნორვეგია. წარსულ თებერვალს ცალკე კომისია დააწესეს და მიანდეს: გამოიკვლიეთ, რანაირად მოვიქცეთ, რომ ნორვეგიაში სახალხო ბიბლიოთეკები გამრავლდესო. ამ კომისიამ თავისი საქმე შეასრულა და ეხლახან გამოსცა კიდეც თავისი გამოკვლევა. თავდაპირველად ბიბლიოთეკების ისტორიაა მოთხრობილი მოკლედ. მე-XVIII საუკუნის გასულს ზოგიერთებმა, ხალხის გასანათლებლად ნაირ-ნაირი წიგნები მოაგროვეს და ხალხს ურიგებდნენ წასაკითხად. შემდეგ: ეგრედ წოდებული «ნორვეგიის განათლების საზოგადოება»—დაარსდა. ეს საზოგადოება სასოფლო წრეებს აარსებდა და სხვა-და-სხვა ადგილებში ბიბლიოტეკების დაარსებას ამ საზოგადოებათ ანდობდა. მაგრამ პირველში ეს საქმე არა ხერხდებოდა. სასოფლო ბიბლიოთეკების დაარსება 1830 წლებში დაიწყეს. 1830 წლამდე ნორვეგიაში ამნაირი ბიბლიოთეკა სულ 49 იყო. 1837 წელს მათი რიცხვი 186-მდე ავიდა. 1840 წელს 230-მდე, 1860 წელს კი—300-მდე. ამ ჟამად ნორვეგიაში (2 მილიონი მცხოვრებია) 650 სახალხო ბიბლიოთეკაა. ამათგან 644-ს სახელმწიფო შემწეობა ეძლევა და 330,000 წიგნი აქვთ. ახალი წიგნების შესაძენად სახელმწიფო ყოველ წელს 40,000 კრონას აძლევს ბიბლიოთეკებს. კომისიის აზრით, საჭიროა ზოგიერთი ახალი წესი შემოიღონ ბიბლიოთეკებმა: ყური უგდონ, რომ წიგნებს რიგიანად უვლიდნენ, წიგნების ყიდვა სპეციალისტებს და გამოცდილ კაცებს მიანდონ, ყველა ბიბლიოთეკები ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ. წიგნის გამომცემლებთან ყველა ერთად უნდა იჭერდეს საქმეს: მაშინ უფრო იაფად იყიდიან წიგნებს და სხვა.

გერმანია. გერმანელები არ იშლიან, კიდევ მრავალ კრებას ახდენენ და ჩემბერლენს პროტესტს უცხადებენ. ამბობენ, თითონ მთავრობაც ძლიერ გაწყრომია ჩემბერლენს და გრაფი ბიულოვი, რამწამს რეიხსტაგი გაიხსნება, პასუხს გასცემს ჩემბერლენსაო. რასაკვირველია, ჯერ რომელიმე დეპუტატი დაეკითხება მთავრობას ჩემბერლენის სიტყვის თაობაზე და მერე ბიულოვიც ვითომ დეპუტატის პასუხად ილაპარაკებს და ჩემბერლენს საკადრისს პასუხს მისცემსო.

✿ გერმანიაში ყველგან კრებები იმართება, ყველგან ბურებს თანაგრძნობას უცხადებენ და ინგლისის ქცევას ჰგმობენ. ეს კარგი და პა-

ეროვნული

ტიოსანი საქმეა. მაგრამ ამათ პროტესტს ინგლისის მთავრობა ნამეტ ყურადღებასაც არ აქცევს, არა თუ ინგლისის მთავრობა, თავიანთივე მთავრობაც ყურს არ უგდებს. მერე უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანელები უფრო ინგლისის ჯავრითა და მტრობით უცხადებენ ბურებს თანაგრძნობას, თორემ განა თითონ უარეს საქმეებს არა სჩადიან შინ თუ გარედ? მოიგონეთ რა ცხელს დღეს აყენებენ პოლონელებს. ამიტომ, ჩემის აზრით, ამ თანაგრძნობას მაინცა და მაინც დიდი ფასიი არა აქვს.

✡ ქალების საზოგადოებამ ამ დღეებში ერთ კარგ საქმეში გაიმარჯვა. საზოგადოების თხოვნით, ქალ. ჰამბურგის ადგილობრივმა მთავრობამ ნება დართო, რომ გამოსაცდელად, ფაბრიკებში ქალები დაინიშნოს ინსპექტორადაო. გერმანიაში ქალები ბევრგან არიან ინსპექტორად და ჩინებულადაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

✡ გერმანიაში მუშა ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. ნამეტნავად დასავლეთ-პრუსიაში თურმე დიდი უსაქმობაა. ამ პროვინციიდან დიდ ძალი ხალხი მიდის ბერლინში საქმის საშოვნელად. რკინის გზის მმართველობამ ბევრ მუშა კაცს მისცა საქმე და სამსახური, მაგრამ კიდევ, სულ მცირედ, 35,000 კაცი მაინც იქმნება დარჩენილი უსაქმოდ. მთავრობამაც არ იცის, რა უშველოს ამ ხალხსა და რა საქმე გაუჩინოს.

ჩინეთი. «ტაიმს»-ს სწერენ პეკინიდან: «გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო ჩინეთიდან. დეპეშაში სწერია, პრინცი ცინი გუშინ გაიფენფუდან პეკინში წავიდაო. ქვრივ დედოფალს უბრძანებია პრინცისათვის, მანჯურიის შესახებ ხელ-შეკრულობას ხელი მოაწერეო. დეპეშიდან არა სჩანს: რუსეთის ყველა პირობებს დასთანხმდა ქვრივი დედოფალი, თუ არაო. იაპონია და სამხრეთ პროვინციების მეფის მოადგილეები ძალას ატანენ ქვრივ დედოფალს, რომ მანჯურია ხელიდან არ გაუშვას, რუსეთი კიდევ თავისას თხოულობს. ჰფიქრობენ, რომ სანამ პრინცი პეკინამდე მიაღწევდეს, იქნება დედოფალმა აზრი შეიცვალოს და პრინცს სხვანაირი ბრძანება გამოუგზავნოსო. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელი პარტია გაიმარჯვებსო. მაგრამ პეკინში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინელი მოხელეებისა და უცხოეთის ელჩების აზრით, რუსეთის მოთხოვნილებას მეტი მნიშვნელობა აქვს, სანამ იაპონიის და სამხრეთ-ჩინეთის მეფის მოადგილეების პროტესტსაო.

ახალი ამბავი

✦ 16 ნოემბერს, საღამოზე სხდომა ჰქონდა კავკასიის **სამეურნეო საზოგადოების საბჭოს**, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა საკითხი იმის შესახებ, გაგრძელებულ იქმნას, თუ არა მომავალ 1902 წელშიაც კავკასიის სამეურნეო გამოფენა. საბჭოს განსახილველად წარედგინა პროექტი იმ ხელ-შეკრულებისა, რომლის ძალითაც უნდა შესდგეს განსაკუთრებული საზოგადოება; ამ საზოგადოებამ სამეურნეო საზოგადოების რწმუნებულთან თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილთან ერთად უნდა იკისროს მომავალს წელს სამეურნეო გამოფენის თანხის შედგენა. თითოეულმა წევრმა ამ საზოგადოებისამ უნდა შეიტანოს სამეურნეო საზოგადოებაში არა ნაკლებ 50 მან. სულ უნდა შესდგეს 30,000 მან. ამ ფულებით გამოფენის გამართვას იკისრებს სამეურნეო საზოგადოების საბჭო. მომავალ წელს გამოფენის გახსნისათანავე ყოველ დღის შემოსავლიდან გადადებულ იქმნება 60 პროცენტი, რათა ამგვარად შესდგეს თანხა ამხანაგობის წევრების გასასტუმრებლად. თუ საზოგადოებას გამოფენის გამართვით დარჩა რამე სარგებელი, იგი გაიყოფა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი დაურიგდება კონტრაგენტებს და მეორე ნაწილი გადაიდება სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოდ. გამოფენა უნდა გაიმართოს მაისის პირველ რიცხვებიდან ოქტომბრის თვემდე. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა დაწვრილებით პროექტი ამ ხელშეკრულებისა და დაადგინა—პრინციპიალურად მიღებულ იქმნეს წინადადება სამეურნეო გამოფენის გამართვის შესახებ მომავალ 1902 წლის მაისიდან 1 ოქტომბრამდე და თუ შესდგა საჭირო თანხა გამოფენის გასამართავად, ეს წინადადება წარედგინოს საზოგადო კრებას განსახილველად და წინადადება მიეცეს თავ. ანდრონიკაშვილს მოელაპარაკოს კერძო პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენის გასამართავად თანხის შედგენაში და ნება მიეცეს წინდაწინვე, თანხმობისათანავე პირობით შეეკრას მათ.

✦ პარასკევს, 16 ნოემბერს, მოხდა პირველი სხდომა **სიფხიზლის საზოგადოების** ახალის გამგეობისა. სხდომაზე გამგეობის წევრთა შორის არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ—ლ. ი. მღებროვი, თავმჯდომარის ამხანაგად—თავ. ვ. მ. თუმანოვი, ხაზინადრად ა. ბ. ევანგულოვი, მდივნად—ი. მ. დოლუხანოვი. სხვათა შორის გამგეობამ დაადგინა გახსნას ქალაქის ცენტრალურს ალაგას საჩაიე სამკითხველოთურთ, რისთვისაც ადგილი ქალაქის მმართველობას უნდა ეთხოვოს.

✦ 25 ნოემბერს დანიშნულია ტფილისის **ვაჭართა საზოგადო კრება**. კრებამ უნდა აირჩიოს ობოლთა სასამართლოს წევრები.

✦ კავკასიის **ჯარების** უფროსის განკარგულებით, შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც ხელმეორედ უნდა შეამოწმოს ზოგიერთნი **წელს სამხედრო ბეგარის** მოსახდელად გაწვეულთაგან, რადგან აღმოჩნდა, რომ ესენი სამსახურისათვის არ გამოდგნენ. ამ კომისიაში მიწვეულია ტფილისის გუბერნიის ექიმიც.

✦ გუშინ კავკასიის მთავარ-მართებელმა თ. **გოლიცინმა** დაათვალიერა გოლოვინის პროსპექტზე გომბორში მიმავალი არტილერიის **ჯარი**.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას აღუძრავს საკითხი ტფილისში **საადრესო სტოლის** დაარსების შესახებ. ეს საადრესო სტოლი უნდა იქმნეს პოლიციის უფლების ქვეშ.

✦ საუფლისწულო უწყების სარდაფის მმართველი გოგოლ-იანოვსკი, ხსენებულ უწყების სამმართველოს განკარგულებით, მიდის ლიონში **სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლთა კრებაზედ.** ბ. გოგოლ-იანოვსკიმ უნდა გაიცნოს საუკეთესო სისტემის სეტყვის ზარბაზნები (მარტირები).

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფის, ყაზანისა და სიმბირსკის გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა მმართველებმა უარი შემოუთვალეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობას—დაკვეთილ **შპალებს წელს ვერ გამოგზავნითო**. ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობა დეპეშით სთხოვს სახაზინო რკინის გზების მმართველობას ნება მოგვეცით აქვე, კავკასიაში, ეხლავ შევიძინოთ 300 ათასი შპალიო.

✦ ამიერ კავკასიის **რკინის გზის** სამმართველოს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 17 მილ. მანეთს უდრიდა, დაუმტკიცებია გზათა მინისტრს ხარჯები შესამჩნევად შემოკლებით.

✦ მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ეხლა ხან გარდაიცვალა ცნობილი **მხითარისტი** ალიშანი. ტფილისში სომეხთა საზოგადოებამ მოინდომა პანაშვიდის გადახდა განსვენებულის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ადგილობრივმა გრიგორიან-სამღვდელოებამ ნება არ დართო, რადგან მ. ალიშანი კათოლიკე იყო. ამიტომ მიჰმართეს თხოვნით სომეხთა-კათოლიკოსს ეჩმიაძინში.

✦ სათანადო მთავრობამ დაამტკიცა ჩერნომორიის გუბერნიის **მეღვინეთა და მევენახეთა** ამხანაგობის წესდება.

✦ **ბაქოდან** გვატყობინებენ, რომ **კრიზისის** გამო რამდენიმე ფირმა გაკოტრდა და ბევრი ვექსილებია სასამართლოში წარდგენილიო.

✦ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ ნავთის **წვრილ მრეწველთ** განზრახვა აქვთ შეადგინონ სინდიკატი ნავთის საზღვარ გარეთ გატანისათვის. აქამდე მთელი ექსპორტი რამდენიმე მსხვილ მრეწველთა ხელშია.

✦ 14 ნოემბერს **ბაქოს საქალებო გიმნაზიაში** წლიური აქტი ყოფილა გამართული. აქტზე წაკითხულ ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ ხსენებულს გიმნაზიაში ამ ჟამად 20 ქართველი ქალიც სწავლობს.

✦ ქ. გორიდან გვატყობინებენ, რომ იქ 21 ნოემბერს, საქალაქო სასწავლებელის სადგომში გაიმართება **საქველ-მოქმედო საცეკვაო საღამო.** ამ საღამოს მოთავეს, პატივცემულ კნ. მაკინე ამირეჯიბისას, განუზრახავს შემოსავლის ერთი მესამედი გარდასცეს თვით საქალაქო სკოლას, მხოლოდ დანარჩენი ფული გაეგზავნება ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას, რათა მან შემწეობა აღმოუჩინოს შეუძლებელ და გაჭირვებულ ქართველ სტუდენტობას. სწორედ ბედნიერი აზრი მოსვლია კნ. ამირეჯიბისას, რომ ფულს ზემოთ მოხსენებულს საზოგადოებას უგზავნის და მის გაძლიერებას ლამობს. სრული იმედი გვაქვს, რომ საღამოზე ხალხი ბლომათ დაესწრობა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზედ განიხილა წინადადება ნ. თ. **თამამშევისა**, რომელიც თხოულობდა, რომ **შრომის ბიურო** ქალაქს მიეღო თავის თავზედ. გამგეობამ გარდასწყვიტა სთხოვოს ბ-ნ თამამშევს, აცნობოს გამგეობის ბიუროს მოქმედების შედეგი დაარსებიდან დღევანდლამდე.

✦ **კავკასიის მთავარ-მართებელს** წარედგინა დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება **ქალაქის საყასბოების** მოწყობისა და ამისათვის მესამე საობლიგაციო სესხიდან 50 ათას მანეთის აღების შესახებ.

✦ 16 ნოემბრის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ ხმის უმეტესობით **აბესალომოვის სტიპენდიები** დაუნიშნა წმ. ნინოს სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მოსწავლეს თამარა მთვარელიშვილს; ვაჟთა 1 გიმნაზიის მე-IV კლასის მოსწავლეს ივანე ჯევალიანცს და მე-II კლასის მოსწავლეს ლევან ავაქოვს და დედათა მე-III-ე გიმნაზიაში მეორე კლასის მოსწავლე ქალს რიფსიმე მოსესოვს.

✦ გუშინ შესდგა უკანასკნელი კრება **ნატახტრის წყაროების** კომისიისა. ამ დღეებში ეს კომისია წარუდგენს გამგეობას თავის მოხსენებას.

✦ გუშინ **საექსპერტო კომისიამ**, ბ. გ. ალიბეგოვის თავმჯდომარეობით, დაათვალიერა ადელხანოვის ქარხანა და ფაბრიკა.

✦ ტფილისის საპატიმროში **ყვავილი** გაჩენილა. გუშინ-წინ საპატიმრო დაათვალიერა გუბერნიის ექიმმა ბ. ქიქოძემ.

✦ ცხინვალის ქსენონის გამგე ექიმი ცისკარიშვილი, გუბერნატორის განკარგულებით, დაინიშნა **თელავის მაზრის ექიმად.**

✦ ოფიციალურის ცნობებით, ჯალალოღლში (ბორჩალო) **ქუნთრუშა** გაჩენილა.

✦ სასულიერო **სემინარიის შენობის** იჯარა დარჩა იაკუბოვიჩს 210 ათას მანეთში.

✦ სინოდალური კანტორა შუამდგომლობს უმართებულეს სინოდის წინაშე დაუმტკიცოს ხარფუხის სამრევლო სკოლების **მასწავლებელთა ინსტიტუტის** შენობის იჯარა იაკუბოვიჩს, რომელმაც ორის წლის განმავლობაში უნდა ააგოს ეს შენობა 80 ათას მანეთად.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ სადგურ რიონიდან, რომ 8 ნოემბერს იქ ვილაც სამ ბოროტ-გამზრახველს **მოუნდომებიათ არტელშჩიკის კოლცოვის გაძარცვა.** ისინი შეუნიშნავს ჟანდარმს და წინ გადაღობებია მაშინ, როდესაც ვაგონში შეცვივნას აპირებდნენ. ორი ყაჩაღი გაქცეულა, მესამე კი, გოგიბერიძე, ჟანდარმს დაუჭერია.

✦ ხვალ, 19 ნოემბერს, ტფილისის **სასამართლო პალატა** განიხილავს საქმეს სომეხთა მღვდლების ტერ-სამუილ სოგომონიანცისა, ტერ-კარაპეტიანცისა და არშაკუნისას, რომელთაც ბრალად ის ედებათ, რომ მათ ამას წინად 15 კაცი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა სომეხ-გრიგორიან სარწმუნოებაზე გადაუბირებიათ. ოლქის სასამართლომ ამას წინად განიხილა ეს საქმე და გაამართლა ბრალდებულნი. პალატაში ბრალდებულთ დაიცავს ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი.

✦ ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ სთხოვა ხელოსანთა მოურავს დაასახელოს სამი ისეთი ხელოსანი, რომელნიც შეიძლებენ მონაწილეობის მიღებას **სახელოსნო სამმართველოს** რეორგანიზაციაზე თათბირში საგუბერნიო საკრებულოში.

✦ გუშინ ტფილისის **სასამართლო პალატამ** დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც გრიგოლ შავდიას ქურდობის ჩადენისათვის მისჯილი ჰქონდა 6 თვით ციხეში დაპატიმრება.

✦ მტკვრის პირას მე-7 ნაწილში ნაპოვნი დამხრჩვალის გვამი აღმოჩნდა ტფილისის ვაჭრის შვილი იოსებ ევგენის ძე გეცოვისა.

✦ პოლიციის მე-4 ნაწილში დაიჭირეს გუშინწინ ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე გევრქას ძე აპიევი, რომელსაც თანვე მიჰქონდა დიდი ყუთი სხვა და სხვა ნივთებით სავსე.

პრესსა

ჟურნალ „კავკაზ. ვესტნი“-კის უკანასკნელ №-ში მუსიკის ცნობილი მცოდნე ვ. დ. კ. გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას ქართულ სიმღერების შესახებ. ბ—ნ ვ. დ. კ-ს მოუსმენია ბ. ფალიაშვილის მიერ ფონოგრაფით გადაღებული გურული და ქართლ-კახური მელოდიები და აი რასა სწერს:

> „ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთში გურული და ქართლ-კახური კილოები. შავი-ზღვის ნაპირზე მდებარე გურიაში ძველ დროითგანვე მრავალი უცხოელი დადიოდა; მათი გავლენა ატყვია გურულ სიმღერებს; განსაკუთრებული გავლენა ჰქონიათ იტალიელებსა და ბერძნებს. მელოდიების ლამაზ მიმოხვრაში, ხმების თამამ და გაბედულ მოძრაობაში, ნამდვილ ტიროლურ კლიმანჰურებში, სიცოცხლით სავსე სიმღერებში ნათლად იხატება ლამაზი, ტანადი და მამაცი გურული. ამასთანავე, როგორც ვთქვით, ეროვნულ კილოზე დიდი გავლენა ჰქონია ბერძნულსა და ძველ იტალიურს ჰანგებს, რაც სჩანს ბანის ერთი ხუთად დამდაბლება-დაწევაში. როგორც ყველა აზიურ ჰანგებში, გურულშიაც ბევრია ერთნაირი მოსაწყენი კილო, მაგრამ კავკასიელ ერს და, როგორც ვფიქრობთ, აზიის არც ერთ ერსაც, არა აქვს ასეთი ცოცხალი, მრავალხმოვანი და მწყობრი, მტკიცედ განსაზღვრულის რითმის (უმთავრესად $^{2}/_{4}$-სა) სიმღერა, როგორც გურულებს. ამის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის კილოს უფრო სპარსეთის გავლენა ატყვია. ეს კილო მწუხარეა და ამასთანავე ჰარმონით ღარიბი; ქართლ-კახურ სიმღერებში ხმები გაუბედავად მოძრაობენ, რითმი გაუგებარია, კილო ერთნაირია, მრავალ-ფეროვნებას მოკლებული, თუმცა ლამაზი მელოდია ხშირია“.

საზოგადოთ ქართულ სიმღერებშიო, ამბობს ავტორი, ბევრჯელ შეგხვდებათ ბრწყინვალე და ეფექტიური ეპიზოდები, რომელნიც ღირსნი არიან ჰქციოს კომპოზიტორის ყურადღებისაო. მუსიკის ადგილობრივ იერის (couleur local) შესანიშნავი გამომხატველნი, როგორიც იყვნენ გლინკა და ბოროდინი ან ბიზე და ვერდი, ქართულ სიმღერებში არა ნაკლებ მდიდარ მასალას იპოვნიდნენ, ვიდრე ეგვიპტელთა, ესპანელთა და რუსთა სიმღერებშიო.

⁂

ხარკოვის ინტელიგენციის ერთ ნაწილს მეტად ორგინალური აზრი მოსვლია: განუზრახავს დააარსოს საექიმო დახმარების აქციონერთა საზოგადოება. „იუჟნ. კრაი»-ს სიტყვით, საზოგადოებას საგნად ექნება

> «რაც შეიძლება მცირე ფასით საექიმო დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ მცხოვრებთ, გახსნას სამკურნალოები, სანატორიები, ქსენონები და სხვა. აქციის ფასი წინად იყო 100 მანათი. წესდების თანახმად ყოველი აქცია მის პატრონს 6% მისცემდა, ხოლო თუ მეტი სარგებელი დარჩებოდა

საზოგადოებას, ეს ფული უნდა მოხმარებოდა საზოგადოების დაწესებულებათა გაფართოვება-გაუმჯობესობას. პირველადვე საზოგადოების წევრად 108 კაცი ჩაეწერა».

„სამწუხაროდ, ეს კეთილი განზრახვა ცოტათი შეფერხდა. ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლად ვერ სცნო აქციების ფასის ასე დაკლება და მოითხოვა 100 მანათის მაგიერ აქცია 500 მანათი უნდა ღირდესო. მაგრამ, შესაძლებელია, საქმე გამობრუნდეს: საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილა პეტერბურგში. ულაპარაკნია ფინანსთა მინისტრთან და უკანასკნელი დაჰპირებია—250 მანათამდე შევამცირებ აქციის ფასსაო, რადგან განზრახულ საზოგადოებას ქველ-მოქმედების ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე კომერციულიო“.

თეატრი

ქართული თეატრი. *) „მგლები და ცხვრები“, პიესა ასტროვსკისა. ხუთშაბათს ქართულ სცენის „მგლებსა და ცხვრებში“ «მგელს“ მარტო გედევანოვი ჰგავდა და „ცხვარს“ ბ. გუნია და... შორეულად ქ-ბ. ლეჟავა. მობენეფისეს ჩერქეზიშვილისას სრულებით არ უხდებოდა რუსული მგლობა და არც უნდა აერჩია ასეთი როლი იმ დღისათვის, როცა ყოველი არტისტი სცდილობს საუკეთესოდ ეჩვენოს მაყურებლებს. თუ მაინც და მაინც ასტროვსკის ამ პიესის დადგმა საჭიროდ მიიჩნია კომიტეტმა და რეჟისორმა (ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასტროვსკისა ქართულ სცენაზე—მეტად შეუფერებელია იგი ჩვენის ცხოვრებისა, რადგან ნამეტანი რუსული ბეჭედი აზის), გედევანოვს უნდა აერჩია იგი თავის საბენეფისოდ. მართლა მშვენიერად შეასრულა გედევანოვმა გაიძვერა, ყალბის მქნელ ვუკოლის როლი. ჩვეულებრივ, ამ არტისტმა გადაჭარბება იცის, აქ კი ზომიერება დაცული იყო. ცოცხალი და ცქრიალა ტასო აბაშიძე როლისამს მეტად გაუტაცნია და ხუთშაბათის წარმოდგენაზე სწორედ გადააჭარბა. ვურჩევთ ახალგაზრდა არტისტს მეტ სიფრთხილესა და თავ-დაჭერილობას.

დანარჩენები, როგორც წინეთაც ვსთქვით, ვერ ასრულებდნენ შესაფერისად თავიანთ როლებს.

ვოდევილი მხიარულად და მწყობრად შეასრულეს. მობენეფისე თვის ქერქში იყო და საზოგადოება ბევრი აცინა. შათირიშვილი ხომ შეუდარებელ იყო „დედის ერთა“-ს როლში.

დამსახურებულსა და ნიჭიერ მობენეფისეს მადლობელი საზოგადოება გულ-წრფელის ალტაცებით შეჰხვდა, მიუხედავად არჩეულ პიესის შეუფერებლობისა, და რამდენიმე საჩუქარიც მიართვეს.

თეატრში ხალხი ბლომად იყო, თუმცა ჩერქეზიშვილის ბენეფისს კიდევ მეტი ხალხი უნდა მიეზიდნა, რადგან ამ არტისტქალს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ სცენის წინაშე. **რეცენზენტი.**

პროვინცია

ბათუმი. 14 ნოემბერს. ღამის ათხ საათზე ცეცხლი მოეკიდა ქალაქის საზოგადო საკრებულოს და უზარმაზარი შენობა ერთ წამში დაიწვა. ცეცხლი გაჩნდა თავდა-პირველად სამზარეულოს ბუხარში და იქიდან გავრცელდა; გავრცელდა მით უფრო ადვილად, რომ შენობა ხისა იყო. შენობა დაუჯდათ ორმოცი ათას მანეთამდე და წრეულს ვალს ისტუმრებდა სრულიად. შენობა მეტად კარგი იყო და მეტად კარგ ადგილს, ბულვარზე. შენობა დაიწვა ერთიანად, დაზღვეული იყო ოცდა-ათხ ათას მანეთში. ქონება გადარჩენილია, აგრეთვე ბიბლიოთეკაც. დროებით საკრებულო ქირაობს კერძო სახლს.

სხვათა შორის, დიდ გაჭირვებაში ვარდება ჩვენი ქართული სკოლა ამ შემთხვევით, რადგან აქ იმართებოდა ყოველთვის 14 იანვრის საღამო; სახლი სხვა კი არსად არის ამისათვის.

ქ.

სასამართლო

ფურცელაძის საქმე

გუშინ, 17 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწის ფურცელაძისა, რომელსაც სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია: 1898 წლის 2 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს ცნობები მოუთხოვნია მაშინ დუშეთის მაზრის ქვიშეთის ნაწილის ბოქაულად ნამყოფ ფურცელაძისათვის გლეხის ნიკოლოზ ზაქაშვილის შესახებ. ფურცელაძეს მოთხოვნილი ცნობები ბრალმდებლისათვის წარუდგენია მხოლოდ წელიწად ნახევრის შემდეგ 1899 წლის 31 დეკემბერს; მეორედ ქვიშეთის საბოქაულოში მოუკლავთ მარიამ ურატაევისა და რადგანაც მამასახლისს ოქმი არ წარუდგენია დროზედ, ოლქის სასამართლოს საქმის გამოძიება მიუნდვია ბოქაულის ფურცელაძისათვის 1898 წლის 24 მაისს, ხოლო დანიშნულებისამებრ მას ოქმი წარმოუდგენია 1899 წლის 26 ივნისს. ტფილისის საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილებით ფურცელაძე პასუხის გებაში მიეცათ. საქმის გარჩევის დროს ბრალდებულმა ფურცელაძემ თავი დამნაშავედ აღიარა და ამასთანავე დაასახელა მიზეზები, თუ რამ შეუშალა ხელი დროზედ მინდობილის საქმის აღსრულებაში; ასეთ მიზეზებად მან დაუსახელა პალატას ბევრი საქმეები და სთხოვა ლმობიერად მოქცეოდნენ სასჯელის გარდაწყვეტის დროს. ფურცელაძის ვექილმა ბ-ნმა გრუზენბერგმა სიტყვის დასასრულ აღნიშნა ის გარემოება, რომ ფურცელაძეს კეთილსინდისიერად სამსახურის ასრულებისათვის ბრალდებაში აღნიშნული შემთხვევების შემდეგ მაზრის უფროსის თანაშემწეობა მისცეს და დააჯილდოვეს ორდენითაცო. და ითხოვა მისთვის სასჯელი გამოერჩიათ თანახმად სასჯელთა დებულების მე-410 მუხლისა. პალატამ გადასწყვიტა—საყვედური გამოეცხადოს ფურცელაძეს დაუდევრობისათვის, სამსახურის სიაში აღუნიშნველად.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 ნოემბერი.

პეტერბურგი. 18 ნოემბერს, ცარსკოე სელოს დიდ სასახლეში მისმა უმაღლესობამ მთავარ ალექსანდრე გიორგის ძე რომანოვსკიმ ლეიხტენბერგის ჰერცოგმა სრული წლოვანი მთავრებისათვის დაწესებული ფიცი უნდა მიიღოს.

მთელი რუსეთის ცეცხლის მქრობელთა რაზმების კრება მოხდება მოსკოვში 1902 წელს. კრების თავმჯდომარედ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე იქნება.

გამოცხადდა, რომ ინგლისის კოლონია ავსტრალიაში კვინსლენდი და ქალაქი გლაზგო შავი ჭირის მხრივ საშიში აღარ არიანო.

საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე უმაღლესის ბრძანებით ხარკოვის და ახტირსკის არხიეპისკოპოსად დაინიშნა; ვიატკის და სლობოდსკის ეპისკოპოსი ალექსი—ქართლის და კახეთის არქიეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარხოსად დაინიშნა.

ასხაბადი. 15 ნოემბერს, ღამით, შუა აზიის რკინის გზაზე სადგურ გეოქ-სიურს ახლო ორი საქონლის მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. ერთი კონდუქტორი და ერთი კიდევ სხვა მოსამსახურე მოკლულ იქმნენ, 18 ვაგონი დაიმსხვრა. მატარებლის მემანქანეს დასძინებოდა და ეს უბედურება ამ მიზეზით მოხდა.

მოსკოვი. საიდუმლო პოლიციამ ორი საშიში ქურდი დაიჭირა, ეს ქურდები სახელმწიფო ბანკიდან იპარავდნენ ფულებს: ერთს 3,000 მან. მოუპარა, მეორეს 1,000 მანეთი; ორივე ქურდი ურიები არიან.

ბერლინი. ვენიდან იწერებიან, პანგერმანისტი ვოლფი იმიტომ გადადგა დეპუტატის თანამდებობიდან, რომ მისმა შვილმა ქალის გულისთვის მეორე პანგერმანისტი დეპუტატი დუელში გამოიწვია.

კონსტანტინეპოლი. ამერიკის საელჩოში და საკონსულოში არა სჯერათ ის ამბავი, ვითომ ქ-ნი სტონი და მისი თანამგზავრი გარდაცვლილიყვნენ. ჰფიქრობენ, რომ ეს ამბავი ყაჩაღებმა განგებ გაავრცელეს, რომ ტყვე ქალები ფულით დაეხსნევინოთ.

ლონდონი. შინაგან საქმეთა მინისტრმა კროიდონში ილაპარაკა. მინისტრმა სთქვა: სოლსბერის ჰილდჰოლში არ უთქვამს, რომ ბურებს არავითარ დამოუკიდებლობას არ მივცემთო. სოლსბერიმ მხოლოდ ისა სთქვა, რომ ბურების რესპუბლიკებს ვერ მივცემთ ისეთ დამოუკიდებლობას, როგორიც წინათ ჰქონდათო. ინგლისის მთავრობას არ შეუძლიან ხელახლად ის პირობები დაუდოს ბურებს, რომლებიც ბურებმა წინად უარ-ჰყვეს, მაგრამ თუ რომელიმე გენერალი, როგორც მეომარი ბურების წარმომადგენელი, წინად უარჰყოფილ პირობებს წარმოგვიდგენს და გამოაცხადებს, რომ ბურები თვით-მმართველობას სჯერდებიანო, მაშინ ინგლისის მთავრობაც დასთანხმდება ამ პირობებს და ბურებთან ზავს შეჰკრავს.

პეტერბურგის ბირჟა 16 ნოემბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,32½	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	344½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	244¼	გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87⅝	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 20 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს ბინაზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით სამრეწველო რაიონში გზების შეკეთების საქმე, 2056 მანეთისა და 80 კ. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს საბჭოს გირაოთ 5% აღნიშნულ ღირებულობისა ან ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

ხარჯთ აღრიცხვისა, გეგმების და პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ყოველ-დღე. (ნ. 3—2)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

ვეფხის-ტყაოსანი
სცენები
შოთა რუსთაველის
პოემიდან, რუსულად შედგენილი რ. ყანგარის-მიერ სურათებით. ფასი 1 მან.
საწყობი—ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ხიდდეკელის მაღაზიაში. (50—7)

ახლად დაარსებულის ამხანაგობის
„ნაროდნოე ზდრავიე“-ს
(აფთიაქი, მინერალურ წყლების ქარხანა და სხვა)
დარჩენილ პაიებზე ხელის-მოწერა დასრულდება ამ წლის 1-ლ დეკემბერს.
ხელის მოწერა მიიღება: საკომერციო სანავთო-მრეწველობის ამხანაგობის გამგეობაში—ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში, ეზოში,—აგრეთვე პროვიზორის სააკოვის საფთიაქო საწყობში, ვარანცოვის ძეგლთან. ვისაც ჰსურს, შეუძლია მიიღოს ამხანაგობის პირობის პროექტი ხსენებულ ადგილებში (3—2)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის
„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე
სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
(წელიწადი მეცხრე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება
გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

---

*) უადგილობის გამო დღეს ვბეჭდავთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.